სწავლა-სწავლების პროცესის ძირითადი გამოწვევები, შემოქმედებითი აზროვნების ძირითადი მიმართულებები, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა

ინგა ზოიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: zoidze.inga@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2023.26

თანამედროვე მიდგომებმა მნიშვნელოვნად შეცვალა სწავლა-სწავლების პროცესში არსებული მეთოდები, რაც ნიშნავს იმას, რომ გაკვეთილის დაგეგმვისას მნიშვნელოვანი პროცესია იგი დაიგეგმოს მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე. სადაც თითოეული მოსწავლის შესაძლებლობა და საჭიროება იქნება გათვალისწინებული. დღევანდელი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, სადაც მოსწავლეები მაქსიმალურად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში და მასწავლებლის დახმარებით თანამედროვე მიდგომების საშუალებით იძენენ ცოდნას.

საკვანძო სიტყვები: *სწავლება, მიდგომები, მეთოდები, მიღწევები*

სწავლე-სწავლების პროცესში უამრავი ეფექტური მეთოდი არსებობს,რომელშიც იგულისმება მიზნის მისაღწევი გზები.

ხშირად, ტრადიციული მეთოდების მიმდევარი მასწავლებლები ცდილობენ თავიდან აირიდონ აქტიური სასწავლო პროექტები, რადგან ფიქრობენ, რომ კარგავენ მოსწავლეების მორჩილებას, როცა ისინი დისკუსიას იწყებენ. სინამდვილეში, აქტიური სასწავლო პროცესი მონაწილეს აიძულებს იფიქროს, ისაუბროს და გაუზიაროს ინფორმაცია სხვებს. ის აგრეთვე გულისხმობს თანამშრომლობას და პრობლემის გადაწყვეტის ერთობლივი გზების ძიებას. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით, სწავლის პროცესი მაქსიმალურად სასიამოვნოა და შთაგონების წყაროა შემდგომი განვითარებისთვის.

პრობლემის განსაზღვრის ეტაპზე მოსწავლე აანალიზებს მოძიებულ ინფორმაციას და ახერხებს მის ლოგიკურ სინთეზს, რათა გამოკვეთოს მწვავე საკითხები; ამ შემთხვევაში უნდა გაარკვიოს, რა სახის ბულინგის მსხვერპლია ესა თუ ის პერსონაჟი, როგორ აისახება ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ჩაგვრა ადამიანთა ცხოვრებაზე, როგორ უმკლავდება სიტუაციას (ან, საერთოდ, ახერხებს თუ არა არსებულ მდგომარეობასთან გამკლავებას). მოცემულ სიტუაციაში მოსწავლეს უვითარდება თანაგრძნობის უნარი,იჩენს ემპათის ,უვითარდება ბულინგით დაზარალებული პერსონაჟით ინტერესდება.

მოცემული საკითხის გადაჭრისას მოსწავლეს ეხმარება **დიზაინ აზროვნება (Design Thinking)**, რომელიც ხუთი ეტაპისაგან შედგება:**თანაგრძნობა, პრობლემის განსაზღვრა,იდეების გენერირება, ტესი/გამოცდა,** ხუთივე ეტაპის წარმატებით დაძლევის შემდეგ, მოსწავლეს უნდა განუვითარდეს ან გაუმყარდეს ისეთი თვისებები, როგორიცაა პრობლემების კრეატიულად გადაჭრა, ინოვაციური აზროვნება, პერსპექტივების მრავალფეროვანი სპექტრის აღქმა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, კომპლექსების დაძლევა. იგი მოსწავლეს ეხმარება დაძლიოს სრულიად უცხო/ახალი პრობლემები და სწრაფად ადაპტირდეს ნებისმიერ გარემოებასთან. უნდა აღინიშნოს, მაშინაც კი, თუ პრობლემა არასწორადაა განსაზღვრული, დიზაინ აზროვნება საშუალებას იძლევა ნებისმიერ ეტაპზე მოხდეს სამოქმედო კურსისა და გეგმის კორექტირება.

ქართულ საჯარო სკოლებში დიზაინ აზროვნებით სწავლის შემთხვევებს იშვიათად შეხვდებით. მაშინაც კი, როცა პედაგოგები იყენებენ სწავლის ამ მეთოდისთვის დამახასიათებელ დავალებებს, ხშირად ეს მცდელობა გვირგვინდება როლური თამაშებით. როლური თამაშები შეგვიძლია მივიჩნიოთ დიზაინ აზროვნების ერთ-ერთ სახეობად, თუმცა მასში ყოველთვის არ არის გათვალისწინებული დიზაინ აზროვნების ხუთივე ეტაპი.

საგაკვეთილო პროცესში მოვემული მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ისეთი ნაწარმოებების შესწავლისას როგორებიცაა:“ეშმაკის ქვა“, „ნატვრის ხე“.აქვე უნდა აღვნიშნო,რომ მოთრობის „ნატვრის ხე“შეწავლისას გამოვიყენე მოცემული მეთოდი და შედეგი თვალსაჩინოა,რადგან მოცემული მეთოდის გამოყენებით საგაკვეთილო პროცესში ჩართულია ყველა მოსწავლე.

თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქამ ახალი შესაძლებლობები მოითხოვა,თუმცა ამის პარალელურად შეიქმნა იმის აუცილებლობა,რომ მოსწავლეს განუვითარდეს სკოლის პასუხისმგებლობაა ცხოვრებისთვის მოამზადოს მოსწავლეები, შესძინოს მათ პრაქტიკული ჩვევები და ჩამოაყალიბოს ჯანსაღ მოქალაქეებად, საჭირო გახდა ტრადიციული სწავლის მეთოდების ჩანაცვლება თანამედროვე ალტერნატივებით – მათ შორის ისეთი ტექნიკებით, როგორიცაა **„დიზაინ აზროვნება“.**

თანამედროვე მიდგომების ეფექტურობა გამოიხატება იმაში,რომ სწავლება გახდა ორმრივი,ინტელექტუალური,მოსწავლეზე მორგებული

ლიტერატურა:

1.https://edu.aris.ge/news/3-yvelaze-efeqtiani-tanamedrove-swavlis-metodi-da-mati-analogebi-saqartveloshi.html

2. https://rustaveli.org.ge/res/docs/4032c8446111feea5430904a3ee0af6df46a2be3.pdf

3. ჟურნალი მასწავლებელი.ბერიძე თ.12 ივნისი, 2019 .

4. https://edu.aris.ge/news/3-yvelaze-efeqtiani-tanamedrove-swavlis-metodi-da-mati-analogebi-saqartveloshi.html.

Inga Zoidze

Shota Rustaveli State University

The Main chalenges of the teaching-learniong process, the main directions of creative thinking, solving the problrm creatively

Abstract

Modernc approaches have significantly chandes the exiting methods in the teaching-learning process, which means that when planning a lesson, it is an important process to plan it based on the interests of the student.

Key words: teaching, approaches, methods, achievements

რეცენზენტი: პროფესორი მარინა სირბილაძე